აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 10

15 სექტემბერი 2012 წელი **ქ. ბათუმი**

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე, თამარ ხოზრევანიძე, რამაზ ბოლქვაძე, ავთანდილ ჩახვაძე, დიმიტრი დარჩია, მამუკა ჯაში, ლილე ტეტემაძე და ლევან გაბრიჩიძე.

არ ესწრებოდა: ნანა დავითაძე.

აგრეთვე ესწრებოდნენ: საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 22 აგვისტოს №11 დადგენილებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ;

2. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების შერჩევის შესახებ;

3. სხვადასხვა.

1. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 22 აგვისტოს №11 დადგენილებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 22 აგვისტოს №11 დადგენილებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტში ცვლილება და დამატება ძირითადად განპირობებულია ოლქებში დამხმარე პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნა, რომ ოლქებში საჭიროა დამხმარე პერსონალის დამატება გამომდინარე იქედან, რომ ორი არჩევნები (საპარლამენტო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს) ტარდება ერთდოულად და დიდი ინტერესია საზოგადოების მხრიდან არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებასთან დაკავშირებით. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ოლქებთან შეხვედრის დროს მათი მხრიდან იყო თხოვნა საარჩევნო პროცესის მეტი ორგანიზებულობის მიზნით დამატებული ყოფილიყო დამხმარე პერსონალი რაც გაუადვილებდა მათ საქმიანობას. ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო პროცედურების მიმდინარეობის დროს შესაძლებელია დადგეს რაიმე სახის ტექნიკური საკითხი, რამაც ხელი არ უნდა შეუშალოს საარჩევნო პროცედურების უწყვეტობას და მსგავსი წინააღმდეგობების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა დამატებული იქნეს დამხმარე პერსონალი სხვადასხვა ტექნიკური საკითხების მოწესრიგების მიზით.

აზრი გამოთქვეს: გია გარსევანიშვილმა, ლევან გაბრიჩიძემ, ავთანდილ ჩახვაძემ, რამაზ ბოლქვაძემ, დიმიტრი დარჩიამ, მამუკა ჯაშმა, და არჩილ მიქელაძემ.

გია გარსევანიშვილმა აღნიშნა, რომ არჩევნების სრულყოფილად და ორგანიზებულად ჩატარებასთან დაკავშირებით აუცილებელია ტექნიკური საკითხების მოწესრიგების მიზნით ოლქში დამხმარე პერსონალის დამატება.

ლევან გაბრიჩიძემ აღნიშნა, რომ მკაცრად იქნება გაკონტროლებული დამხმარ პერსონალის ქმედება, უსკოს მხრიდან.

ავთანდილ ჩახვაძემ აღნიშნა, რომ საარჩევნო ოლქებთან შეხვედრის დროს საარჩევნო ოლქების მხრიდან ნამდვილად იყო თხოვნა დამხმარე პერსონალის დამატების შესახებ.

რამაზ ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ თვითონ იყო ოლქის თავმჯდომარე და იცის რამდენად საჭიროა დამხმარე პერსონალის დამატება ოლქებისათვის. ასევე აღნიშნა, რომ ოლქში მუშაობის პერიოდში (არჩევნების დროს) იყო ძალიან ბევრი შემთხვევები საარჩევნო უბნებზე ტექნიკური საკითხის მოწესრიგება დამხმარე პერსონალის სიმცირის გამო უხდებოდა ოლქის წევრებს.

დიმიტრი დარჩია დაინტერესდა თუ ექნებათ დამხმარ პერსონალს უფლება შევიდეს საარჩევნო უბანზე და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრის პროცედურაში და რა სახით მოხდა თითოეულ ოლქში დამხმარე პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა, ასევე რატომ არის სხვადასხვა ოლქში დამხმარე პერსონალის რაოდენობა სხვადასხვა. ასევე აღნიშნა, რომ ის მხარს არ უჭერს დადგენილების პროექტში წარმოდგენილ ცვლილიებას და დამატებას იქიდან გამომდინარე, რომ დამხმარე ტექნიკური პერსონალი პირდაპირ ჩაერევა საარჩევნო პროცედურებში და ხელს შეუშლიან კომისიას მუშაობაში.

მამუკა ჯაში დაინტერესდა თუ რამ განაპირობა საარჩევნო ოლქებისათვის ამდენი დამხმარე ტექნიკური პერსონალის დამატება და აღნიშნა, რომ წინა არჩევნების დროს მას არ ახსოვს მსგავსი პერსონალის დამატების პრეცენდენტი. ასევე დაინტერესდა თუ სად და რა სახით მოხდებოდა დამხმარე პერსონალის შერჩევა და ჩატარდება თუ არა კონკურსი მათ შესარჩევად. რასაც ასევე დაეთანხმა დიმიტრი დარჩია.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დამხმარე პერსონალის ფუნქცია იქნება წმინდა ტექნიკურ - ორგანიზაციული მხარის მოწესრიგება და მათ კენჭისყრის და ხმის დათვლის პროცესში ჩარევის უფლება საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად არ აქვთ. ასევე აღნიშნა, რომ დამხმარე პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა მოხდა

თითოეული ოლქის საზღვრებისა და უბნების რაოდენობის მიხედვით. ხოლო რაც შეეხება დამხმარე პერსონალის შერჩევას აღნიშნა, რომ მათი შერჩევა მოხდება საარჩევნო ოლქებში, თითოეული ოლქი შეარჩევს და გაუფორმებს მათ შესაბამის ხელშეკრულებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 22 აგვისტოს №11 დადგენილებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრისას არ დაფიქსირდა კომისიის წევრების ავთანდილ ჩახვაძის და ლილე ტეტემაძის გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს ავთანდილ ჩახვაძეს და ლილე ტეტემაძეს მიმართა დაეფიქსირებინათ თავიანთი გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 2;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 58-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 22 აგვისტოს №11 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი, 23/08/2012. 010220020.34.059.016012) შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება და დამატება:

1. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი შემდეგი ოდენობით:

№	ოლქის	ოლქის დასახელება	ოლქის ხარჯები				სულ ჯამი
			(გადაზიდვის ხარჯები)	ოლქში დამხმარე პერსონალის ხელფასები			
				პერსონალის რაოდენობა	ხელფასის ოდენობა	სულ	
1	79	ბათუმი	1500	27	200	5400	6900
2	80	ქედა	1750	6	200	1200	2950
3	81	ქობულეთი	1500	13	200	2600	4100
4	82	შუახევი	1750	8	200	1600	3350
5	83	ხელვაჩაური	1500	8	200	1600	3100
6	84	ხულო	1750	12	200	2400	4150
სულ			**9750**	**74**		**14800**	**24550**

2. დადგენილების მეორე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი 2^1:

„მუხლი 2^1. ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო ოლქების დამხმარე პერსონალისათვის გამოყოფილი თანხების საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემა უზრუნველყოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის შესაბამისმა სამსახურმა. საოლქო საარჩევნო კომისიებმა უზრუნველყონ დამხმარე პერსონალისათვის გამოყოფილი თანხების გამოყენება დანიშნულებისამებრ და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების შერჩევის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების შერჩევის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, უსკო უფლებამოსილია დანიშნოს უსკოს წარმომადგენლები რომლებიც, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, განახორციელებენ თავიანთ საქმიანობას. ასევე აღნიშნა, რომ უსკოს შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა შესარჩევად შესაბამისი განცხადების გამოქვეყნებას რის თანახმადაც, ყველა მსურველს ექნება შესაძლებლობა წარმოადგინოს განაცხადი უსკოს სათანადო სამსახურში უსკოს წარმომადგენლობაზე, განაცხადების შემოტანის თარიღი იქნება 2012 წლის 18 და 19 სექტემბერი, განცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს ორი დღისა წარმომადგენლების შერჩევის კომისია შეისწავლის წარმოდგენილ საბუთებს და შერჩეულ პირთა წარდგენა მოხდება უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის შემდგომი არჩევისათვის. ამავე სხდომაზე გადაწყდა კომისიის შემადგენლობაც (კომისიის წევრები: გია გარსევანიშვილი, მალხაზ კალანდაძე, ლილე ტეტემაძე, მამუკა ჯაში, დიმიტრი დარჩია, უსკოს აპარატიდან იურიდიული სამსახურის უფროსი - ფრიდონ ბათნიძე და კადრების სამსახურის უფროსი - ნერვისტან ფაღავა).

აზრი გამოთქვეს: დიმიტრი დარჩიამ და მამუკა ჯაშმა.

დიმიტრი დარჩიამ აღნიშნა, რომ მხარს არ უჭერს განკარგულების პროექტის დამტკიცებას, მაგრამ სურს იყოს უსკოს წარმომადგენლების შერჩევის კომისიის წევრი და მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში.

მამუკა ჯაშმა ასევე აღნიშნა, რომ არ უჭერს მხარს განკარგულების პროექტს მაგრამ სურს იყოს უსკოს წარმომადგენლების შერჩევის კომისიის წევრი და მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების შერჩევის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 2;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. საოლქო საარჩევნო კომისიებში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების შერჩევის მიზნით, უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. გია გარსევანიშვილი;
2. მალხაზ კალანდაძე;
3. დიმიტრი დარჩია;
4. მამუკა ჯაში;
5. ლილე ტეტემაძე;
6. ფრიდონ ბათნიძე;
7. ნერვისტან ფაღავა.

2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის შესაბამისმა სამსახურმა უზრუნველყოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა შესარჩევად შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება.

3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლობის მსურველმა უმაღლეს საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს: კანდიდატის სახელი, გვარი, საკონტაქტო მისამართი, იმ საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება სადაც სურს წარმომადგენლობა და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს). განცხადებას ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი და მას უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ქსეროასლი;

ბ) უმაღლესი განათლების (სამეცნიერო ხარისხის – თუ აქვს) დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

გ) კანდიდატის შრომითი ბიოგრაფია და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება);

დ) ორი ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3X4.

4. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლობის მსურველებმა უმაღლესი საარჩევნო კომისიის კადრების სამსახურს განცხადებით უნდა მიმართონ 18 - 19 სექტემბერს 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

5. წარმოდგენილი საბუთების შესწავლა და შერჩეულ პირთა წარდგენა უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის განხორციელდეს განცხადების შეტანის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს ორი დღისა.

6. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

7. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**